საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის ანალიზი

თბილისი, 2025 წელი

ძირითადი მაჩვენებლები

2024 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 1 680 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 17%-ით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (2023 წელს ექსპორტირებული იყო 1 437 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია). რაც შეეხება ადგილობრივ ექსპორტს (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე), შეადგენს 1 380 მლნ აშშ დოლარს, რაც 19%-ით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (2023 წელს ექსპორტირებული იყო 1 161 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია).

2024 წლის წინასწარი მონაცემებით იმპორტირებულია 2 196 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 8.8%-ით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს (2023 წელს იმპორტირებული იყო 2 018 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია).

2024 წლის წინასწარი მონაცემებით უარყოფითი სავაჭრო სალდო შეადგენს 516 მლნ აშშ დოლარს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 11%-ით ნაკლებია.



ექსპორტი

ქვეყნების მიხედვით

2024 წლის მონაცემებით, აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი (37.2%), ევროკავშირი (10.7%), აზერბაიჯანი (10.4%), სომხეთი (9.5%), ყაზახეთი (4.3%), უკრაინა (4.0%) და ყირგიზეთი (3.7%).

მნიშვნელვანი ზრდა ფიქსირდება: რუსეთში (ზრდა:138.9 მლნ აშშ დოლარი; 29%), სომხეთში (ზრდა: 29.4 მლნ აშშ დოლარი; 23%), ჩინეთში (ზრდა: 17.6 მლნ აშშ დოლარი; 73%), თურქმენეთში (ზრდა: 13.2 მლნ აშშ დოლარი; 6.0-ჯერ) და ისრაელში (ზრდა: 9.1 მლნ აშშ დოლარი; 2.0-ჯერ).

რუსეთში ექსპორტის ღირებულება შეადგენს 624.3 მლნ აშშ დოლარს, ზრდა ძირითადად გამოწვეულია სპირტიანი სასმელების (ზრდა: 87.3 მლნ აშშ $; 2.3-ჯერ), გადამუშავებული ხილის (თხილი და ფისტა) (ზრდა: 20.0 მლნ აშშ $; 4.2-ჯერ), მინერალური და მტკნარი წყლებისა (ზრდა: 15.1 მლნ აშშ $; 24%) და ღვინის (ზრდა: 14.4 მლნ აშშ $; 9%) ექსპორტით.

სომხეთში ექსპორტირებულია 159.6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურათო პროდუქცია, ზრდა გამოწვეულია სპირტიანი სასმელების ექსპორტით რომლის ღირებულება 24.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 48.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ჩინეთში ექსპორტირებულია 41.7 მლნ აშშ დოლარს ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, აქედან 28.5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების დაფნის ფოთოლი, რომლის ღირებულება წინა წელთან შედარებით 18.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

თურქმენეთში ექსპორტი შეადგენს 15.8 მლნ აშშ დოლარს, აქედან, 11.4 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ფრინველის ხორცია, რომლის ექსპორტი წინა წელს არ განხორციელებულა (წამროადგენს რეექსპორტს).

ისრაელში ექსპორტის ღირებულება შეადგენს 18.0 მლნ აშშ დოლარს. ზრდა ძირითადად გამოწვეულია თხილის (ზრდა: 4.0 მლნ აშშ $; წინა წელს არ განხორციელებულა), ხილისა და ბოსტნეულის წვენების (ზრდა: 2.9 მლნ აშშ $; 3.7-ჯერ) და ყავის ექსტრაქტების (ზრდა: 2.0 მლნ აშშ $; 3.7-ჯერ) ექსპორტით.

ექსპორტი ყველაზე მეტად შემცირებულია ერაყში, სადაც ექსპორტის ღირებულება 21.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა და 45.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ერაყში ძირითადი საექსპორტო პროდუქტია ცოცხალი მრპ, რომლის ღირებულებამ 43.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 16.3 მლნ აშშ დოლარით (27%-ით) ჩამორჩება.

პროდუქტების მიხედვით

2024 წელს ძირითად საექსპორტო პროდუქტებია: სპირტიანი სასმელები (288.6 მლნ აშშ $), ღვინო (276.0 მლნ აშშ $), მინერალური და მტკნარი წყლები (163.8 მლნ აშშ $), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (139.1 მლნ აშშ $), კაკლოვანი ხილი (ძირითადად თხილი) (106.2 მლნ აშშ $), სიგარეტი (64.0 მლნ აშშ $), ცოცხალი მრპ (55.0 მლნ აშშ $) და სამრეწველო დამზადების თამბაქო (51.3 მლნ აშშ $).

2024 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის 52% სასმელებზე მოდის (ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო), მისი ექსპორტის ღირებულებამ 876 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 24%-ით აღემატება. მათ შორის მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება სპირტიანი სასმელების (ზრდა: 92.7 მლნ აშშ $; 47%), მინერალური და მტკნარი წყლების (ზრდა: 32.2 მლნ აშშ $; 25%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელების (ზრდა: 30.0 მლნ აშშ $; 27%) და ღვინის (ზრდა: 17.0 მლნ აშშ $; 7%) ექსპორტში.

სპირტიანი სასმელების ექსპორტის ღირებულება შეადგენს 288.6 მლნ აშშ დოლარს (47.9 მლნ ლიტრი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია რუსეთი (54%), სომხეთი (17%) და უკრაინა (8%).

მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტის ღირებულება შეადგენს 163.8 მლნ აშშ დოლარს (254 მლნ ლიტრი), საექსპორტო ფასმა 0.64 $/ლიტრი შეადგინა. ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი (47%), ყაზახეთი (18%) და უკრაინა (12%).

უალკოჰოლო გაზიანი სამსელების ექსპორტის ღირებულება შეადგენს 139.1 მლნ აშშ დოლარს (150 მლნ ლიტრი), მისი საექსპორტო ფასი 20%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 0.93 $/ლიტრი შეადგინა. ძირითადად ექსპორტირებულია რუსეთში (44%), აზერბაიჯანში (16%) და ყაზახეთში (12%).

ღვინის ექსპორტის ღირებულებამ 276.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (94.7 მლნ ლიტრი). ღვინის ძირითადი საექსპორტო ბაზარია რუსეთი 182.6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციით, მას მოსდევს პოლონეთი, უკრაინა და ყაზახეთი, შესაბამისად 16.6 მლნ 12.5 მლნ და 10.7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტით.

სასმელების შემდეგ ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ჯგუფია **ხილი**, მისი ექსპორტის ღირებულებამ 2024 წელს 236 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14%-ით აღემატება, ხოლო მისი წილი მთლიან აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში 14%-ს შეადგენს. ექსპორტის ზრდა ძირითადად გამოწვეულია თხილის (ზრდა: 17.4 მლნ აშშ $; 21%), მოცვისა (ზრდა: 7.0 მლნ აშშ $; 33%) და ატმისა და ვაშლატამის ექსპორტით (ზრდა: 3.1 მლნ აშშ $; 13%).

თხილის ექსპორტის ღირებულებამ 100.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მისი ძირითადი საექსპორტო ბაზრებია ევროკავშირი, სადაც ექსპორტირებულია 63.7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია, ესქპორტი განხორციელდა ასევე სომხეთში და რუსეთში, შესაბამისად 5.0 მლნ და 3.5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების.

მოცვის ექსპორტის ღირებულება შეადგენს 28.2 მლნ აშშ დოლარს, მისი ძირითადი საექსპორტო ბაზარია რუსეთი, სადაც ექსპორტირებულია 24.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია, ასევე, 2.4 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია ექსპორტირებულია ევროკავშირში.

ატმისა და ვაშლატამას ექსპორტი შეადგენს 27.9 მლნ აშშ დოლარს.

გარდა აღნიშნული პროდუქტებისა, მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება გადამუშავებული ხილისა (ზრდა; 18.9 მლნ აშშ $; 80%) და დაფნის ფოთლის (ზრდა; 16.6 მლნ აშშ $; 94%) ექსპორტში.

გადამუშავებული ხილის (ძირითადად თხილი და ფისტა) ექსპორტის ღირებულებამ 42.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (7.2 ათასი ტონა), ძირითადი საექესპორტო ბაზრებია რუსეთი (62%) და გერმანია (9%).

დაფნის ფოთლის ექსპორტი შეადგენს 34.4 მლნ აშშ დოლარს (8.6 ათასი ტონა), საექსპორტო ფასი წინა წელთან შედარებით 40%-ით გაიზარდა და 3.98 $/კგ შეადგინა. ძირითადი საექსპორტო ბაზრებია ჩინეთი (80%) და რუსეთი (14%).

იმპორტი

ქვეყნების მიხედვით

2024 წლის მონაცემებით, აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: ევროკავშირის ქვეყნები (29%), რუსეთი (22%), თურქეთი (13%), უკრაინა (6%) და ბრაზილია (5%).

იმპორტი ყველაზე მეტად გაზრდილია ლიეტუვიდან (38.9 მლნ აშშ დოლარი; 3.0-ჯერ), რუსეთიდან (33.1 მლნ აშშ $; 7%), აშშ-დან (24.0 მლნ აშშ $; 93%), ჩინეთიდან (21.8 მლნ აშშ $; 63%), აზერბაიჯანიდან(21.5 მლნ აშშ $; 42%) და უკრაინიდან (20.0 მლნ აშშ $; 17%).

ლიეტუვიდან იმპორტის ღირებულებამ შეადგინა 58.6 მლნ აშშ დოლარი, ზრდა გამოწვეულია სიგარეტის იმპორტით რომლის ღირებულებამ 44.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11-ჯერ აღემატება.

რუსეთიდან იმპორტირებულია 493 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, ზრდა ძირითადად გამოწვეულია ხორბლის, სპირტისა და მზესუმზირის ზეთის იმპორტით, მათი ღირებულება შესაბამისად 19.4 მლნ, 12.9 მლნ და 5.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აღსანიშნავია რომ რუსეთიდან მნიშვნელოვნად შემცირდა ხორბლის ფქვილისა და შაქრის იმპორტი, შესაბამისად 19.0 მლნ და 11.9 მლნ აშშ დოლარით.

აშშ-დან იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ 49.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდა ძირითადად გამოწვეულია კაკლოვანი ხილის (ძირითადად ფისტა) და ფრინველის ხორცის იმპორტით, რომელთა ღირებულება შესაბამისად 17.0 მლნ და 8.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 22.9 და 13.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ჩინეთიდან იმპორტის ღირებულება შეადგენს 56.6 მლნ აშშ დოლარს. ზრდა ძირითადად გამოიწვია ფრინველის ხორცის იმპორტმა, რომლის ღირებულება 11.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 29.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

აზერბაიჯანიდან იმპორტის ღირებულება შეადგენს 72.8 მლნ აშშ დოლარს. ზრდა ძირითადად გამოიწვია სიგარეტის იმპორტმა, რომლის ღირებულება 20.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 32.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

უკრაინიდან იმპორტის ღირებულებამ 135 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ზრდა ძირითადად გამოწვეულია შოკოლადის ნაწარმისა და ფრინველის ხორცის იმპორტით, მათი ღირებულება 5.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 17.5 მლნ და 13.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

პროდუქტების მიხედვით

2024 წლის მონაცემებით, ძირითადი საიმპორტო პროდუქციაა: ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები (205.0 მლნ აშშ დოლარი), თამბაქო და დამბაქოს სამრეწველო შემცვლელები (199.8 მლნ აშშ დოლარი), კვების სხვადასხვა პროდუქტები (ძირითადად საკვები დანამატები და საწებლები) (163.8 მლნ აშშ დოლარი), მზა კვების პროდუქტები მიღებული მარცვლეულის გადამუშავებით (ძირითადად ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი) 158.2 მლნ აშშ დოლარი, სამელები (ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო) (151.7 მლნ აშშ დოლარი), ხილი (142.8 მლნ აშშ დოლარი) და ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქები (რძის პროდუქტები, კვერცხი, და თაფლი) 137.7 მლნ აშშ დოლარი.

მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება კაკლოვანი ხილის (ძირითადად ფისტა და კაკალი) (26.5 მლნ აშშ $; 2.3-ჯერ), ხორბლის (18.5 მლნ აშშ $; 32%), სპირტის (17.3 მლნ აშშ $; 73%), ფრინველის ხორცის

(15.4 მლნ აშშ $; 16%), შოკოლადის ნაწარმის (15.1 მლნ აშშ $; 17%), საკვები დანამატების (14.8 მლნ აშშ $; 23%) და ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის (11.9 მლნ აშშ $; 15%) იმპორტში.

კაკლოვანი ხილის (ძირითადად ფისტა და კაკალი) იმპორტი შეადგენს 46.3 მლნ აშშ დოლარს (9.9 ათასი ტონა), მისი საიმპორტო ფასი 65%-ით გაიზარდა და 4.7 $/კგ შეადგინა. ძირითად იმპორტიორ ქვეყანას აშშ (49%), ჩინეთი (12%) და თურქეთი (11%) წარმოადგენს.

ხორბლის იმპორტი შეადგენს 76.2 მლნ აშშ დოლარს (326.5 ათასი ტონა), მისი საიმპორტო ფასი 10%-ით შემცირდა და 233 $/ტონა შეადგინა. 99% იმპორტირებულია რუსეთიდან.

სპირტის იმპორტის ღირებულება შეადგენს 41.0 მლნ აშშ დოლარს (40.9 მლნ ლიტრი), მისი საიმპორტო ფასი 9%-ით შემცირდა და 1.0 $/ლიტრი შეადგინა. ძირითადი საიმპორტო ქვეყნებია რუსეთი (48%), ბელარუსი (19%) და საფრანგეთი (18%).

ფრინველის ხორცის იმპორტის ღირებულებამ 108.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მისი საიმპორტო ფასი 1$-ით შემცირდა და 1.5 $/კგ შეადგინა. ძირითადი საიმპორტო ბაზრებია ჩინეთი (27%), უკრაინა (12%), აშშ (12%) და ბრაზილია (12%).

შოკოლადის ნაწარმის იმპორტი შეადგენს 103.9 მლნ აშშ დოლარს (23.4 ათასი ტონა). მისი საექსპორტო ფასი 11%-ით გაიზარდა და 4.4 $/კგ შეადგინა. ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები რუსეთი (29%), უკრაინა (17%) და თურქეთია (12%).

საკვები დანამატების იმპორტი შეადგენს 79.7 მლნ აშშ დოლარს, მისი საექსპორტო ფასი 7%-ით შემცირდა და 7.22 $/კგ შეადგინა. იმპორტი ძირითადად ხორციელდება გერმანიიდან (12%), თურქეთიდან (12%), რუსეთიდან (11%), პოლონეთიდან (9%) და აშშ-დან (8%).

ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის იმპორტი შეადგენს 92.8 მლნ აშშ დოლარს (33.2 ათასი ტონა), საიმპორტო ფასი 3%-ით გაიზარდა და 2.8 $/კგ შეადგინა. ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია რუსეთი (28%), თურქეთი (18%) და უკრაინა (13%).

2024 წელს, წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა ხორბლის ფქვილისა და შაქრის იმპორტი, მათი ღირებულება შესაბამისად 18.9 მლნ (50%) და 12.0 (12%) მლნ აშშ დოლარით შემცირდა და 18.5 მლნ და 87.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი 1

აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ძირითადი ცვლილებები პროდუქტების მიხედვით

პროდუქციის სასახელება	მლნ აშშ $		რაოდენობა (ათასი ტონა)		ცვლილება 2024/2023 (მლნ $)	ცვლილება ღირებულების მიხედვით (%)
	2023	2024	2023	2024		
სპირტიანი სასმელები (მლნ ლიტრი)	196.0	288.6	31.4	47.9	92.7	47%
მინერალური და მტკნარი წყლები (მლნ ლიტრი)	131.5	163.8	205.2	254.2	32.2	25%
უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (მლნ ლიტრი)	109.1	139.1	141.6	150.0	30.0	27%
სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული ხილი	23.6	42.5	5.7	7.2	18.9	80%
სუნელ-სანელებლები	18.8	36.7	6.5	9.1	18.0	96%
ყურძნის ნატურალური ღვინოები (მლნ ლიტრი)	259.0	276.0	89.5	94.7	17.0	7%
თხილი და სხვა კაკლოვნები	89.5	106.2	18.8	17.7	16.7	19%
სამრეწველო დამზადების თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	36.4	51.3	2.4	3.5	14.9	41%
კარტოფილი	1.4	7.6	5.4	35.0	6.1	425%
ხილი დანარჩენი, ახალი	32.6	38.4	16.2	17.3	5.8	18%
ყავის ექსტრაქტები	2.8	8.4	0.3	0.8	5.6	198%
ხილისა და ბოსტნეულის წვენები	16.2	21.7	12.6	14.6	5.5	34%
კურკოვანი ხილი	29.4	33.9	28.3	31.2	4.6	16%
ცხოველების საკვები პროდუქტები	11.6	7.6	20.4	15.7	-4.0	-34%
ცოცხალი ცხვრები და თხები (ათასი სული)	44.1	39.9	456.4	338.8	-4.3	-10%
სიგარეტი (მლნ ღერი)	76.8	64.0	6.4	79.8	-12.8	-17%
ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ათასი სული)	79.7	55.0	173.4	104.9	-24.7	-31%

ცხრილი 2

ძირითადი საექსპორტო პროდუქტები (TOP 15)

პროდუქციის სასახელება	მლნ აშშ $		რაოდენობა (ათასი ტონა)		ცვლილება 2024/2023 (%)	წილი მთლიან ექსპორტში (%)
	2023	2024	2023	2024		
სულ აგროსასურსათო პროდუქცია	**1 436.9**	**1 679.8**			**17%**	
სპირტიანი სასმელები (მლნ ლიტრი)	196.0	288.6	31.4	47.9	47%	17%
ყურძნის ნატურალური ღვინოები (მლნ ლიტრი)	259.0	276.0	89.5	94.7	7%	16%
მინერალური და მტკნარი წყლები (მლნ ლიტრი)	131.5	163.8	205.2	254.2	25%	10%
უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (მლნ ლიტრი)	109.1	139.1	141.6	150.0	27%	8%
თხილი და სხვა კაკლოვნები	89.5	106.2	18.8	17.7	19%	6%
სიგარეტი (1000 ღერი)	76.8	64.0	6.4	79.8	-17%	4%
ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ათასისული)	79.7	55.0	173.4	104.9	-31%	3%
სამრეწველო დამზადების თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	36.4	51.3	2.4	3.5	41%	3%
სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული ხილი	23.6	42.5	5.7	7.2	80%	3%
ცოცხალი ცხვრები და თხები (ათასი სული)	44.1	39.9	456.4	338.8	-10%	2%
ხილი დანარჩენი, ახალი	32.6	38.4	16.2	17.3	18%	2%
სუნელ-სანელებლები	18.8	36.7	6.5	9.1	96%	2%
ციტრუსები	34.8	34.9	53.5	57.7	0%	2%
კურკოვანი ხილი	29.4	33.9	28.3	31.2	16%	2%
სოიოს შროტი	29.1	27.4	43.0	48.3	-6%	2%
სხვა პროდუქცია	246.4	281.9			14%	17%

ცხრილი 3

ძირითადი საექსპორტო ბაზრები (TOP 15)

ქვეყანა	2023	2024	ცვლილება 2024/2023 (%)	წილი მთლიან ექსპორტში (%)
სულ	**1 436.9**	**1 679.8**	**17%**	**37%**
რუსეთი	485.4	624.3	29%	11%
ევროკავშირი	162.9	180.2	11%	10%
აზერბაიჯანი	169.3	174.5	3%	10%
სომხეთი	130.2	159.6	23%	4%
ყაზახეთი	76.4	71.5	-6%	4%
უკრაინა	62.3	66.9	7%	4%
ყირგიზეთი	56.2	61.4	9%	3%
ერაყი	67.7	45.8	-32%	2%
ჩინეთი	24.1	41.7	73%	2%
უზბეკეთი	23.6	28.2	20%	2%
საუდის არაბეთი	21.7	27.7	28%	2%
ბელარუსი	28.8	26.4	-8%	1%
აშშ	16.0	21.2	32%	1%
თურქეთი	25.0	19.2	-23%	1%
ისრაელი	8.9	18.0	102%	7%
სხვა ქვეყნები	78.4	113.3	44%	0%

ცხრილი 4

აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტის ძირითადი ცვლილებები პროდუქტების მიხედვით

პროდუქციის სასახელება	მლნ აშშ $		რაოდენობა (ათასი ტონა)		ცვლილება 2024/2023 (მლნ $)	ცვლილება ღირებულების მიხედვით (%)
	2023	2024	2023	2024		
კაკლოვანი ხილი (ფისტა და კაკალი)	19.9	46.3	7.0	9.9	26.5	133%
ხორბალი	57.7	76.2	222.1	326.5	18.5	32%
სპირტი (მლნ ლიტრი)	23.7	41.0	21.5	40.9	17.3	73%
შინაური ფრინველის ხორცი და საკვები სუბპროდუქტები	93.5	108.9	61.3	72.4	15.4	16%
შოკოლადი და კაკაოს შემცველი დანარჩენი მზა კვების პროდუქტები	88.9	103.9	22.2	23.4	15.1	17%
საკვები დანამატები	64.9	79.7	8.4	11.0	14.8	23%
ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი	81.0	92.8	29.9	33.2	11.9	15%
სამრეწველო დამზადების თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	23.0	34.3	2.4	2.9	11.3	49%
ყავა და ყავის შემცვლელები	31.3	39.3	7.6	7.3	8.0	26%
ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ათასი სული)	25.2	17.5	41.4	24.9	-7.7	-31%
ღორის ხორცი	62.5	54.5	26.2	23.5	-8.0	-13%
მცენარეთა ნერგები	34.2	25.7	9.7	14.1	-8.6	-25%
შაქარი	99.7	87.7	144.7	135.2	-12.0	-12%
ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი	37.4	18.5	137.7	70.9	-18.9	-50%

ცხრილი 5

ძირითადი საიმპორტო პროდუქტები (TOP 15)

პროდუქციის სასახელება	მლნ აშშ $		რაოდენობა (ათასი ტონა)		ცვლილება 2024/2023 (%)	წილი მთლიან ექსპორტში (%)
	2023	2024	2023	2024		
	2 017.7	**2 196.0**			**9%**	
სიგარეტი (მლრდ ღერი)	159.3	159.7	9.9	9.8	0%	7%
შინაური ფრინველის ხორცი და საკვები სუბპროდუქტები	93.5	108.9	61.3	72.4	16%	5%
შოკოლადის ნაწარმი	88.9	103.9	22.2	23.4	17%	5%
ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი	81.0	92.8	29.9	33.2	15%	4%
შაქარი	99.7	87.7	144.7	135.2	-12%	4%
საკვები დანამატები	64.9	79.7	8.4	11.0	23%	4%
ხორბალი	57.7	76.2	222.1	326.5	32%	3%
სპირტიანი სასმელები (მლნ ლიტრი)	49.1	56.4	3.3	3.9	15%	3%
ღორის ხორცი	62.5	54.5	26.2	23.5	-13%	2%
მცენარეული ზეთი	45.9	52.6	42.9	47.8	15%	2%
ცხოველების საკვები პროდუქტები	46.8	47.0	35.5	34.5	0%	2%
თხილი და სხვა კაკლოვნები	19.9	46.3	7.0	9.9	133%	2%
სპირტი (სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.% ან მეტი) (მლნ ლიტრი)	23.7	41.0	21.5	40.9	73%	2%
კარაქი და რძის სხვა ცხიმები და ზეთები; რძის პასტები	36.3	40.0	6.0	6.3	10%	2%
ყავა და ყავის შემცვლელები	31.3	39.3	7.6	7.3	26%	2%
სხვა პროდუქცია	1,057.3	1,109.9			5%	51%

ცხრილი 6

აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	2023	2024	ცვლილება 2024/2023 (%)	წილი მთლიან ექსპორტში (%)
სულ იმპორტი	**2 017.7**	**2 196.0**	**9%**	
რუსეთი	459.7	492.8	7%	22%
თურქეთი	280.7	279.1	-1%	13%
უკრაინა	114.6	134.6	17%	6%
ბრაზილია	131.1	101.2	-23%	5%
გერმანია	65.7	79.3	21%	4%
საფრანგეთი	57.6	76.4	33%	3%
პოლონეთი	61.0	73.5	21%	3%
აზერბაიჯანი	51.2	72.8	42%	3%
ნიდერლანდები	70.9	68.7	-3%	3%
იტალია	58.9	62.4	6%	3%
ლიეტუვა	19.8	58.6	196%	3%
ჩინეთი	34.7	56.6	63%	3%
სომხეთი	51.3	52.3	2%	2%
აშშ	25.9	49.8	93%	2%
ბელარუსი	36.2	44.8	24%	2%
სხვა ქვეყნები	498.6	493.2	-1%	22%